ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 257/01
09/01/2020

257-01-2-202001091516

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის პირველ მოადგილეს
ქალბატონ ნანა ზამთარაძეს

ქალბატონო ნანა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 25 დეკემბრის სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჯუთას მიმდებარე ტერიტორიაზე, დიაბაზის (მოსაპირკეთებელი ქვა - 975 000 $м^3$ და საღორღე ნედლეული 2 444 000 $м^3$) მოპოვების პროექტს.

გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართის 26-ე პუნქტის თანახმად, წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 25 ჰექტარზე მეტია ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ფართობი შეადგენს 1149039 $м^2$-ს, აღნიშნული საქმიანობა მიეკუთვნება კოდექსის I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და საჭიროებს გზშ-ის პროცედურების გავლას. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად სამინისტროში წარმოადგინოს სკოპინგის განცხადება, სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013